



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, აცხადებს კონკურსს ასოციაციის კომიტეტების კოორდინატორის პოზიციაზე:

სავალდებულო მოთხოვნები:

- ** უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ** ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა;
- ** სულ მცირე 2 წლიანი იურისტად მუშაობის გამოცდილება;
- ** საოფისე ტექნიკისა და კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა.

აუცილებელი პიროვნული უნარ-ჩვევები:

- ** მაღალი შრომის დისციპლინა და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ** ინიციატივისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ** შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომის უნარი;
- ** გუნდური მუშაობის უნარი;
- ** ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ** კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი;
- ** ანალიტიკური და კომპლექსური აზროვნების უნარი.

ძირითადი მოვალეობები:

- ** ასოციაციის კომიტეტების საქმიანობის ანალიტიკური მხარდაჭერა, მათ შორის სხვადასხვა ტიპის კვლევებით, ინფორმაციის მოძიებითა და რეკომენდაციების/მოსაზრებების შემუშავებით;
- ** კომიტეტების საქმიანობის მხარდაჭერა და ამ საქმიანობის ხარისხის შესახებ ხელმძღვანელთან ანგარიშგება;
- ** უცხო ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციების საკომიტეტო საქმიანობის შესწავლა და რეკომენდაციების/მოსაზრებების შემუშავება;
- ** კომიტეტების შეხვედრების/სხდომების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;
- ** კომიტეტების თავმჯდომარეებთან კოორდინაციით, განსახილველი საკითხების, დღის წესრიგისა და შესაბამისი მასალების მომზადება;
- ** სხდომის ოქმის შედგენა;
- ** კომიტეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ასოციაციის საკომუნიკაციო არხებით გავრცელებაზე ზედამხედველობა;

** კომიტეტების თავმჯდომარეთა შეკრებისთვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;

** კომიტეტების თავმჯდომარეებთან და წევრებთან მუდმივ კომუნიკაციაში ყოფნა;

** კომიტეტების გამართული ფუნქციონირების მიზნით, ხელმძღვანელის დამატებითი დავალებების შესრულება.

წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათალი:

** რეზიუმე (ქართულ ენაზე);

** უმაღლესი განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთის/დიპლომის ასლი;

** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

** ფოტოსურათი ზომით 3/4 (ელექტრონული ვერსია);

** სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი.

განცხადების მიღების ბოლო ვადაა: 2019 წლის 15 აგვისტო.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

** განცხადებების გადარჩევა;

** გასაუბრება.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ საბუთების ჩამონათვალი (დაზიპული ფაილის სახით და სახელის და გვარის მითითებით) ელ-მისამართზე: hr@gba.ge.

გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების კოორდინატორი.

თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის. ასევე, თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმე შესაძლოა არ იქნას განხილული მოცემულ ვაკანსიაზე, სავაკანსიო მოთხოვნებიდან გამომდინარე ან დარეზერვებული იქნას სხვა რელევანტური ვაკანტური პოზიციისთვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეთანხმებით ზემოაღნიშნულს, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მადლობას გიხდით კონკურსით დაინტერესებისათვის და გისურვებთ წარმატებას!